საბანაგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საბანაგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

ქ. თბილისის საბანაგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველო

ES 4 18 00031694

არქიტექტურული პროექტის განხილვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახურის სანებართვო
განყოფილების ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი, მიმდინარე წლის 22 მაისის N60-01181423228 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი 22.05.18 N28555) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებისა, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენი სპეციალისტის მიერ განხილული იქნა მიქელაძის N 6-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი სამშენებლო პროექტი მოითხოვს შესაბამის კორექტირებას და გასათვალისწინებელია შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულება, კერძოდ:

- SP 5.13130.2009 ცხრილი A 1 პუნქტი 4.1.1-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში დასამონტაჟებელია ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა;

- SP 154.13130.2013 პუნქტი 6.2.3-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში მოსაწყობია შიდა სახანძრო ონკანები, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს სახელურებითა და ლულებით;

- SP 7.13130.2013 პუნქტი 7.2 ზ)-ს თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში დასამონტაჟებელია კვამლსაწინააღმდეგო სავენტილაციო სისტემა;

- SP 154.13130.2013 პუნქტი 6.5.5-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში დასამონტაჟებელია ხანძრის მაუწყებელი და ევაკუაციის მართვის სისტემები,

- SP 154.13130.2013 პუნქტი 6.4.3 და 6.4.4-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში დასამონტაჟებელია ავარიული განათებები და მასზე მიერთებული გზებისა და გასასვლელების შუქმაჩვენებლები;

- SP 154.13130.2013 პუნქტი 5.2.14-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტსადგომიდან კიბის უჯრედში და ლიფტში შესასვლელებთან მოსაწყობია ტამბურ-რაბი ჰაერის დაწნევით;

- SP 154.13130.2013 პუნქტი 5.2.18 და 5.2.19-ის თანახმად, მიწისქვეშა ავტოსადგომში მოსაწყობია მეორე საევაკუაციო გასასვლელი (კიბის უჯრედი) ან ტრანსპორტის სამოძრაო რამპაზე გასაკეთებელია 0,80 მ-ის ბილიკი, ფეხით მოსიარულეთათვის;

- SP 1.13130.2009 პუნქტი 5.4.17-ის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული საოფისე ფართობები საცხოვრებელი სექტორის კიბის უჯრედისგან, გამოსაყოფია დამოუკიდებელი შესასვლელით და საევაკუაციო გასასვლელებით ;

- SP 1.13130.2009 პუნქტი 8.3.7-ის მოთხოვნის თანახმად, საოფისე ფართობის მეორე სართულიდან მოსაწყობია საევაკუაციო გასასვლელი ან გათვალისწინებული იქნეს 8.3.8 პუნქტის მოთხოვნები;

- SP 5.13130.2009 ცხრილი A3 პუნქტი 36.2 და 38-ის თანახმად, კომერციულ და საოფისე ფართობებში დასამონტაჟებელია ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სიგნალიზაცია;

- SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2-ის მოთხოვნის შესაბამისად გასათვალისწინებელია შენობის გარე ხანძარქრობისთვის საჭირო რაოდენობის წყლის წყაროს(სახანძრო ჰიდრანტის) მოწყობა.

როგორც მშენებლობის სანებართვო პირობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სიტემების მოსაწყობი საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სააგენტოში განსახილველად მშენებლობის წარმოების სტადიების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების
მართვის მთავარი სამმართველოს უფროსი **ანდრე ქუჯაიძე**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო / ქ.
თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი
სამმართველო

მთავარი სამმართველოს უფროსი
ანდრე ქუჯაიძე

